

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N012/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

გიორგი შალამბერიძე (სტუდენტი)

შეკითხვა

მოპასუხის (მოვალის) ადვოკატი ასაჩივრებს სასამართლოს განჩინებას ისე, რომ არ იხდის ბაჟის საფასურს. მართლმსაჯულების სისტემაში ადვოკატის, როგორც ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი გარანტიის როლის გათვალისწინებით, არის თუ არა აღნიშნული ქმედება ეთიკის ნორმების დარღვევა?

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ გააკეთა სამართლებრივი შეფასება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5, მე-6 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლებთან მიმართებაში. ეთიკის კომისიის განმარტებით, პროცესის განზრახ გაჭიანურება არ არის ადვოკატის როლის შესაბამისი ქმედება, რადგან ადვოკატი არის მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების ერთ-ერთი გარანტი. თუმცა, მოცემული შეკითხვიდან გამომდინარე, ადვოკატის ქმედება არ შეიძლება შეფასდეს არაეთიკურად მხოლოდ იმიტომ, რომ ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხადა კლიენტის საქმეზე. ამ ქმედების მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, რომელიც კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნიდან გამომდინარეობს, რაც შეკითხვის არსიდან არ ირკვევა. შესაძლოა, ადვოკატმა კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიტანა საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე, გასაჩივრების ვადის გაშვების თავიდან აცილების მიზნით. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატი მოქმედებდეს კლიენტის ინტერესების შესაბამისად, მათ შორის სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა წარმოადგენდეს კლიენტთან შეთანხმებულ მოქმედებას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე საჩივრის წარდგენა ვერ შეფასდება არაეთიკური ქმედებად. თუმცა, კომისია აქვე განმარტავს, რომ სასამართლო პროცესების განზრახ გაჭიანურება აფერხებს ეფექტიანად მართლმსაჯულების განხორციელებას.

დასკვნა

ადვოკატის მიერ სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისას სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ წარმოადგენს არაეთიკურ ქცევას, თუ ის კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნიდან გამომდინარეობს. თუმცა, კომისიის განმარტებით, პროცესების განზრახ გაჭიანურება ცალსახად აფერხებს მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების პროცესს, რაშიც ადვოკატს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია.

¹<https://gba.ge/pdf/5f02e4d238167.pdf/werilobiti%20rekomendacia%20%20012.19%20%20gacemis%20tarigi%2005.01.20.pdf>